ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის **ზურაბ აბაშიძის**

2023-2024 წლის ანგარიში

საკრებულოს სხდომებში, კომისიებისა და ფრაქციების მუშაობაში

მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მე-7 მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან, ვარ ამავე მოწვევის საკრებულოს მთაწმინდის მაჟორიტარი წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო-ს" წევრი, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრი. ვასრულებ კანონმდებლობით მონიჭებულ უფლება-მოვალეობებს, აქტიურად ვესწრები დედაქალაქის წარმომადგენლობით ორგანოში გამართულ სხდომებს და სამუშაო შეხვედრებს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა:

- საკრებულოს 14 სხდომა - დავესწარი 13 სხდომას;
- მიღებული იქნა 113 დადგენილება და 675 განკარგულება;

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოში, 2023 -2024წწ ჩატარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 27 სხდომა, განხილული იქნა 496 საკითხი. ჩატარებული სხდომებიდან დაესწარი 26 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 446 საკითხის განხილვაში.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 19 სხდომა. დაესწარი 18 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 319 საკითხის განხილვაში.

საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე განხილული და შესწავლილი იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 372 ცვლილება.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების ჩანაცვლების მიზნით დამტკიცებული იქნა 56 პროექტი.

დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით გაიცა 15 პროექტი.

ასევე, კომისიის სხდომაზე განხილული იქნა 83 დადგენილების სხვადასხვა პროექტი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 19 სხდომა. დაესწარი 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 32 საკითხის განხილვაში.

## ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

როგორც მთაწმინდის მაჟორიტარი წევრი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფითი პირობების, საჭიროებების, ინიციატივების, გაცნობის და დედაქალაქისთვის პრიორიტეტულ თემებზე რეაგირების მიზნით განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღების საკითხს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შევხვდი და მოვუსმინე 350 მოქალაქეს. რომელთაც, მომმართეს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.
მათ შორის: სოციალური, საბინაო, ყოფითი პირობების გაუმჯობესების, ჯანდაცვის, დასაქმების, ინფრასტრუქტურული და სხვა.

საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია კორესპონდენცია და დოკუმენტბრუნვა, როგორც შიდა სტრუქტურულ თემებზე, ასევე, სხვა უწყებებიდან შემოსულ საკითხებზე და მოქალაქეთა განცხადებებზე. კანონით განსაზღვრულ ვადებში, აღნიშნულ განცხადებებზე, შემდგომი რეაგირებისთვის მომზადდა შესაბამისი შუამდგომლობები და რეკომენდაციები.

სოციალურ საკითხებზე დახმარება გაეწია 95 მოქალაქეს, ერთჯერადი ფინანსური დახმარება მიიღო 45 მოქალაქემ. ინფრასტრუქტურული პრობლემების კუთხით პრობლემა მოუგვარდა 63 მოქალაქეს.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაცია

კოორდინაცია მაქვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებთან, გამგეობებთან, სამინისტროებთან, მათი საქმიანობის სფეროს საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის კონსულტაციის გაწევის და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარების მიზნით.

აქტიურად ვთანამშრომლობ მთაწმინდის რაიონის გამგეობასთან, რაიონში არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

თბილისის მერიაში გაიგზავნა 40 შუამდგომლობა სხვადასხვა საკითხზე. მიზნობრივი ფინანსური დახმარება გაეწია 34 ადამიანს, 79 ადამიანს დაუფინანსდა მედიკამენტების თანხა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი:

- გამაგრდა ავარიული სახლები;
- სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საცხოვრებელი სახლის აივნებს
- გამოიცვალა ეზოს შესასვლელი ჭიშკარი, კიბე
- საცხოვრებელ სახლებში დამონტაჟდა 10 ახალი ლიფტი
- 23 სახლს შეეცვალა სახურავი
- 18 მისამართზე მოხდა წყალკანალიზაციის შეცვლა
- 13 მისამართზე განხორციელდა გზების მოასფალტება და რეაბილიტაცია
- ქვაფენილი დაიგო 15 მისამართზე
- მოეწყო 3 სკვერი
- მოეწყო 2 სტადიონი
- ხანძრისგან დაზიანებულ 2 სახლს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები
- საბაღე სკამების მონტაჟი განხორციელდა 20 მისამართზე
- მოძრაობის შემზღუდავი ბარიერები დაიგო 10 მისამართზე
- ქანობიანი სახურავი და წყალსაწრეტი მილები შეიცვალა 47 მისამართზე.

- აღსანიშნავია დიდი ინფრასტრუქტურული პროექტები:

  კერძოდ, ტაბახმელაში თრიალეთის ქუჩაზე ახალი სპორტული კომპლექსი შენდება. სპორტული კომპლექსის ფართობი 7800კვ.მეტრია, რაც მოიცავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის საფეხბურთო და საკალათბურთო მოედნებს. 230 მაყურებელზე გათვლილ ტრიბუნას, ტექნიკურ შენობასა და საპარკინგე სივრცეს. კომპლექსი სრულად ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

  სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულდება 2025 წელს.

- ბოლო პერიოდში თბილისის მერიასთან ერთად, ბევრი მნიშვნელოვანი სიახლე დავნერგეთ ურბანული პოლიტიკის და სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით.

  მოხდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის განახლება, ტაქსების რეფორმა, ამოქმედდა საათობრივი პარკირება. დედაქალაქში შეიქმნა ბევრი ახალი სარეკრეაციო სივრცე.

- მთაწმინდის რაიონს კიდევ ერთი განახლებული სკოლა შეემატა. 2024-2025 სასწავლო წელი 211-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა თანამედროვე სტანდარტების შესაბამის შენობაში დაიწყეს. სკოლის სრული რეაბილიტაციის პროექტი სსიპ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ განახორციელა.

  რაც შეეხება რეკრეაციულ სივრცეს, ეზოსა და გარე სპორტული მოედნის კეთილმოწყობას, აღნიშნული სამუშაოები მთაწმინდის რაიონის გამგეობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

  სკოლის შენობა 350 მოსწავლეზეა გათვლილი. ადგილზე ფუნქციონირებს სასწავლო სივრცეები, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი და მოედანი. სკოლა სრულადაა ადაპტირებული შშმ მქონე მოსწავლეებისთვის.

სხვა სახის ინფორმაცია

2024 წლის (24-28 მარტი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძესთან, ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ოთარ გრიგოლიასთან, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძესთან ერთად სტრასბურგში (საფრანგეთის რესპუბლიკა), ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა 46-ე პლენარულ სესიაში მივიღე მონაწილეობა.

2024 წლის (17-19 ივლისი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაციასთან ერთად ქ. ერევანში ვიმყოფებოდი. ვიზიტის მიზანი იყო დედაქალაქის მუნიციპალურ ორგანოებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. ასევე, სომხეთსა და საქართველოს შორის მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება.

2024 წლის 16 ოქტომბერს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დელეგაციასთან ერთად სტრასბურგში ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონალურ კონგრესს დავესწარი. კონგრესის 47-ე პლენარული სესიის ფარგლებში საუბარი შეეხო საქართველოში დაგეგმილი არჩევნების მშვიდ და კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარებას. ასევე, სესიის ფარგლებში მოწვეულ სტუმრებთან ერთად განვიხილეთ ისეთი თემები როგორიცაა; ადგილობრივი დემოკრატია, როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის საყრდენი.

საკრებულოს წევრი:

ზურაბ აბაშიძე